პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 208 (4718)

1972 წ. 19 ოქტომბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა ვიქტორ სანეევი — 17,44 მ!



14 ოქტომბერს სოხუმის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს უჩვეულო საზრუნავი ჰქონდათ: ყველას სურდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვიქტორ სანეევისთვის რაღაცით ეცა პატივი, მის ცხოვრებაში ეს ღირსსახსოვარი დღე სათანადოდ აღენიშნა. ღირსსახსოვარი კი ეს დღე იმიტომ გახლდათ, რომ სამხტომის მეფე, კაცი, რომელმაც ზედიზედ ორი ოლიმპიადა მოიგო და ორივეჯერ ბრწყინვალე შედეგს მიაღწია, ცოლად ირთავდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის VI კურსის სტუდენტს ტატიანა ხვარცკიას, ქალიშვილს, რომელთანაც კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებდა.

ოლიმპიელის ქორწილმა სანიმუშოდ ჩაიარა — ისე, როგორც მსოფლიოში ცნობილ სპორტსმენს შეეფერებოდა: იყო კეთილი სურვილები, ილოცებოდა ჭერი, ახალი ოჯახი...

— ამიერიდან რძალთან არ მომწყინდება, ორივე მოთმინებით დაველოდებით ასპარეზიდან ჩვენი ვიქტორის გამარჯვებით დაბრუნებას, — თქვა ვიქტორის დედამ.

ქორწილის შემდეგ სამი დღე გავიდა და აი, ვ. სანეევი კვლავ დადგა სამხტომის სექტორში. 17 ოქტომბერს სოხუმის „დინამოს" სტადიონზე სამხტომში სანეევის სახელობის პრიზის მორიგ გათამაშებაში საასპარეზოდ შეიკრიბნენ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენები. უმეტესობა იუნიორები იყვნენ, ისინი, რომელთაგანაც ვინმე შეიძლება სპორტში ვიქტორის მემკვიდრე გახდეს.

სარბიელზე სანეევიც გამოვიდა. მან მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში. რეკორდი სანეევმა 1968 წელს დაამყარა მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში (17,39 მ) და 1970 წელს კუბელმა პ. პერესდუენასმა ჩამოართვა, როცა მიღწევას სულ რაღაც 1 სანტიმეტრი წაუმატა.

სანეევმა მიზანს მიაღწია: ფინალის მესამე ცდაზე მსოფლიო რეკორდი დაიბრუნა, 17,44 მეტრზე გადახტა.

მეორე შედეგი (16,48 მ) აჩვენა რიგელმა ნ. სინიჩკინმა, რომლის ზარმანდელი საუკეთესო მიღწევა 16,01 მ იყო. რა თქმა უნდა, სანეევის სახელობის პრიზი სინიჩკინს გადაეცა.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. სანეევი მიუნხენის ოლიმპიადის სარბიელზე.

საქდესის ფოტო.

## ახალი ამბები-72

● ანკარა, 17 ოქტომბერი. აქ გაიმართა მოფარიკავეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება. ესპადრონისტთა შორის I ადგილი დაიკავა მინსკელმა ვ. სიდიაკმა. II ადგილზეა იტალიელი პადრინი, ხოლო III — ლიბანელი დარიკო. დაშნით მოფარიკავეთა ტურნირში საბჭოთა სპორტსმენები არ მონაწილეობდნენ. რაპირისტ ვაჟებში თავი გამოიჩინა ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა პაინმა (გფრ). ლვოველმა ვ. სტანკოვიჩმა IV ადგილი დაიკავა. იგი იოლად გავიდა ფინალში, აქ რამდენიმე მეტოქე, მათ შორის, პაინიც დაამარცხა, მაგრამ შემდგომ მოულოდნელად წააგო ეგვიპტელ კალიობისთან და თურქ ერდემთან. ქალთა შეჯიბრებაში ყველას აჯობა რუმინელმა პასკუმ.

● პრაღა, 17 ოქტომბერი. ადგილობრივი „სპარტას" ჰოკეისტთა გუნდში მცველთა ძირითად შემადგენლობაში დაიკავა ადგილი ვ. კოსტკაუმცროსმა (ჩეხოსლოვაკიის ნაკრების უფროსი მწვრთნელის ვ. კოსტკას ვაჟმა). ახალგაზრდა ჰოკეისტი მთელ წელიწადს სტაჟირებას გადიოდა კანადის იუნიორთა ერთ-ერთ გუნდში.

● მინესოტა, 17 ოქტომბერი. თავისი ჩემპიონატი დაიწყო ამ ზაფხულს ჩამოყალიბებულმა ამერიკა — კანადის პროფესიული ლიგის ათმა გუნდმა. ამ ლიგას ერთობ პრეტენზიული სახელი ჰქვია — მსოფლიო ჰოკეის ლიგა. ახალშობილმა კორპორაციამ გადაწყვიტა კონკურენცია გაუწიოს ჰოკეის ეროვნულ ლიგას, რომელსაც საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ჰოკეის ეროვნული ლიგიდან მსოფლიო ჰოკეის ლიგის ხელმძღვანელებმა უკვე ბევრი მოთამაშე გადაიბირეს, მათ შორის, სახელგანთქმული ბობი ჰალი.

● ჩიკაგო, 17 ოქტომბერი. ცნობილი შვედი თავდამსხმელის უ. სტერნერის მეორე ცდა — ფეხი მოეკიდა პროფესიულ ჰოკეიში, კვლავ მარცხით დამთავრდა. ისევე, როგორც 1965 წელს ნიუ-იორკის კლუბმა, ახლა ჩიკაგოელმა პროფესიონალებმა უარი უთხრეს თავიანთ რიგებში მიღებაზე მას შემდეგ, რაც სტერნერმა რამდენიმე საწვრთნელ მატჩში ითამაშა. ჩიკაგოელებს არც ამერიკაში სტერნერთან ერთად ჩამოსული მეორე შვედი ჰოკეისტი ბ. ანდერსონი მოუვიდათ თვალში.

ახალი ამბები-72

## ფიდე-ს კიდევ ორი გაძლიერებული

ფიდე-ს გენერალურმა ასამბლეამ, რომელიც ვაჟთა XX და ქალთა V საჭადრაკო ოლიმპიადების მიწურულს გაიმართა სკოპლეში, აღიარა 1968 წელს შექმნილი საჭადრაკო ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაცია (პრეზიდენტი — ესპანელი პუიგი) და უმაღლესი სამსაჯო კატეგორია — საერთაშორისო არბიტრის წოდება 27 მსაჯს მიანიჭა, მათ შორის არიან საბჭოთა მსაჯები ი. ბერეზინი, ო. იგნატიევა (ორივე — მოსკოვი) და თ. გიორგაძე (თბილისი).

## ჩემპიონები ემზადებიან

ცოტა ხანში ზამთრის სეზონი დაიწყება. ამჯერად იგი უფრო მშვიდი იქნება: მორიგი ოლიმპიური თამაშები დამთავრდა, მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატი კი მხოლოდ 1974 წელს მოეწყობა. მაგრამ სეზონი მაინც საინტერესოა — იგი გამოავლენს ახალ ნიჭიერ სპორტსმენებს, რომელთაც ქვეყნის ნაკრებ გუნდებში ვეტერანები უნდა შეცვალონ. ნიჭიერი მოთხილამურე კი საბჭოთა კავშირში ბევრია. დღეს გაგაცნობთ ორ მათგანს.

ფარიდ ზაკიროვი, ბაშკირეთის დედაქალაქის უფის წარმომადგენელმა შარშან ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა იუნიორთა შორის ოლიმპიური პროგრამის ერთ-ერთ ყველაზე რთულ სახეობაში — ჩრდილოურ ორჭიდში, რაშიც სათხილამურო რბოლა და ტრამპლინიდან ხტომა შედის. „გზად" მან სსრ კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალიც დაისაკუთრა, ოღონდ უკვე უფროსებს შორის.

ალექსანდრე კარაპუზოვი ლენინგრადის მახლობელი დაბა კავგოლოვოს მკვიდრია. ისიც ევროპის ჩემპიონი გახლავთ იუნიორთა შორის, ოღონდ „მხოლოდ" ტრამპლინიდან ხტომაში. შარშან კარაპუზოვი წარმატებით გამოდიოდა უფროსთა შეჯიბრებებშიც. იგი საბჭოთა გუნდის იმედია სპორტის ამ ლამაზ ოლიმპიურ სახეობაში.

ამჟამად სპორტსმენები ზამთრის სეზონისთვის ემზადებიან. ემზადებიან, რათა ვეტერანები შეცვალონ და 1976 წლისთვის ოლიმპიური ნაკრების კანდიდატები გახდნენ.





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე (მარცხნიდან): ევროპის ჩემპიონები იუნიორთა შორის ა. კარაპუზოვი და ფ. ზაკიროვი წინასასეზონო შეჯიბრების დროს.

მ. გალაკტიონოვის ტექსტი და ფოტოები.

## მედლები პირველი ჩემპიონატიდან

ოტინიი (ბელგია), 17 ოქტომბერი. ევროპის სტუდენტ ველოსიპედისტთა აქ გამართულ პირველ ჩემპიონატზე საბჭოთა სპორტსმენებმა სამივე პრიზი მოიგეს. ათასობით მცხოვრები გულთბილად მიესალმა მოსკოველ ა. ვასკოვსკის, რომელმაც ამ საამრეწველო ქალაქის ქუჩებში გამართულ ჯგუფურ რბოლაში სამოცივე მეტოქე ჩამოიტოვა. ათი წრე (თითოეული — 9 კმ) გამარჯვებულმა 1 საათსა და 59 წუთში დაფარა (საშუალო სიჩქარე — 45 კილომეტრზე მეტი საათში).

ვერცხლის მედალი ი. სკოსირევმა მოიგო, ბრინჯაოსი კი გუნდურ რბოლაში მიუნხენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა გ. კომნატოვმა. ეს ველოსიპედისტები ომსკის ფიზკულტურის ინსტიტუტში სწავლობენ, ვასკოვსკი კი მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტია.

ფინიშთან მეოთხე იყო აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტი ვ. მენშაევი, ხოლო მეხუთე — იტალიელი ჯ. საბადინი.

სსრ კავშირის სტუდენტთა ნაკრების მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ე. სევოსტიანოვმა საქდესის კორესპონდენტს განუცხადა: „კონტინენტის სტუდენტთა პირველ ჩემპიონატში ბელგიის, ჰოლანდიის, იტალიის, ნორვეგიის, შვეიცარიისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა ველომრბოლელები მონაწილეობდნენ. ჩემპიონატი მის მომწყობებსაც მოეწონათ და სპორტსმენებსაც. გადაწყდა, რომ შემდეგი პირველობა 1973 წლის აგვისტოში გაიმართოს ჰოლანდიაში".



ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრები — ევროპის თერთმეტგზის ჩემპიონი.

ვ. ტრუშნიკოვის ფოტო („იზვესტია").

# სტუდენტთა დასახმარებლად

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტები სასწავლო გეგმის მიხედვით წელიწადში ორჯერ იკრიბებიან საესიო ლაბორატორიულ მეცადინეობაზე, სადაც პროფესორ-მასწავლებლების დახმარებით იმაღლებენ თეორიულ ცოდნას, ეუფლებიან პრაქტიკულ დისციპლინებს. მაგრამ დაუსწრებელი სწავლების ძირითადი ფორმა მაინც სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობაა; რაც სესიიდან სესიამდე დარჩენილი დროის მონაკვეთში უნდა მიმდინარეობდეს.

იმისთვის, რომ სტუდენტს სათანადო დახმარება გაეწიოს და მან სამეცადინოდ დარჩენილი დრო მაქსიმალურად გამოიყენოს, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანატი უკვე რამდენიმე წელია საქართველოს სხვადასხვა რაიონში გზავნის კვალიფიციურ პედაგოგებს ადგილებზე ჯგუფური კონსულტაციების ჩასატარებლად.

სხვა წლებისგან განსხვავებით, წლეულს, ოქტომბრის თვეში, ქუთაისში, ლანჩხუთში, გორსა და გურჯაანში თავს მოიყრიან დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის IV და V კურსების სტუდენტები, რომლებთანაც ჩავლენ გამოცდილი პედაგოგები მეცნიერული კომუნიზმის საფუძვლებში, ფიზიკური აღზრდის თეორიასა და მეთოდიკაში, ფიზიოლოგიაში კონსულტაციების გასაწევად.

ამჟამად IV კურსის სტუდენტები საშუალო სკოლებში გადიან ხუთკვირიან პედაგოგიურ პრაქტიკას წარმოებიდან მოუწყვეტლივ.

პედაგოგიური პრაქტიკა ორ კვირას გაგრძელდება თბილისში ინსტიტუტის მიერ არჩეულ სკოლების ბაზებზე, სადაც დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტები გამოავლენენ პედაგოგიურ ჩვევებს და მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლისთვის აუცილებელ ცოდნას.

რაიონებში ჩასული კონსულტანტები სტუდენტთა ყურადღებას გაამახვილებენ ამ მეტად საჭირო საკითხზეც. კონსულტაციები დაიწყება ქუთაისში 23 ოქტომბერს და ორ დღეს გასტანს. შემდეგ მასწავლებელთა ბრიგადა გადაინაცვლებს ლანჩხუთში, სადაც მეცადინეობა მოეწყობა 26-27 ოქტომბერს. 28-29 ოქტომბერს კონსულტაციები ჩატარდება გორში, ხოლო 2-4 ნოემბერს — გურჯაანში.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორატი იმედს გამოთქვამს, რომ ამ სერიოზულ ღონისძიებას სათანადო ყურადღებით მოეკიდებიან როგორც ადგილობრივი ფიზკულტურული ორგანიზაციები, ისე თვით სტუდენტებიც.

**დოცენტი თ. სანებლიძე,**
**საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის დეკანი.**



# მშდ კომპლექსის ბილიკებზე

შემოდგომაა, მაგრამ მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი, ხაზში შესული ხალხი, ყოველ შაბათ-კვირას გამოდის სტადიონებზე და პარკების ხეივნებში საწვრთნელად, შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად.

## მასობრივად აბარებენ

№ 14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის თითქმის ყველა — 250 აღსაზრდელი სამხედრო-სპორტული ბანაკიდან ნახოდკაში მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნებით დაბრუნდა. მათ ორი კვირა გაატარეს ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე. ბანაკში ნორჩებმა მოაწყვეს სპორტული მოედნები, გამოცდილი მწვრთნელების დახმარებით გაიარეს სასწავლო კურსი. მათგან უმეტესობამ წარმატებით გაართვა თავი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის მესამე საფეხურის ნორმატივებს (უთოვლო რაიონებისთვის). დაახლოებით ორმოცმა ნორჩმა ოქროს სამკერდე ნიშნები დაიმსახურა.

ეს ორი კვირა მხოლოდ სპორტს როდი დაეთმო: მოსწავლეები ნახულობდნენ ახალ კინოფილმებს, თევზაობდნენ, აწყობდნენ თვითმოქმედების კონცერტებს, ჰქონდათ შეხვედრა საბჭოთა ხელისუფლებისთვის ბრძოლის ვეტერანებთან.

„მოგვეწონა მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების მასობრივი ჩაბარების ახალი ფორმა, — გვითხრა ნახოდკის საქალაქო აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ ე. გაიდეიმ. — აღვნიშნავ, რომ მე-14 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მაგალითი გამონაკლისი როდია: ორგანიზებულად — სამხედრო სპორტულ ბანაკებში, აგრეთვე, ქალაქის მიდამოებში აბარებენ ნორმატივებს საზღვაო სასწავლებლების, 31-ე პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლისა და სხვათა ფიზკულტურელები. შორეული აღმოსავლეთის საზღვაო სასწავლებელში უკვე დაახლოებით ათასმა კაცმა წარმატებით ჩააბარა ჩათვლა საზღვაო და მძლეოსნურ მრავალჭიდში".

**ა. პაპეტა.**

ნახოდკა.

## მთელი ოჯახი სტადიონზე

მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა სარბიელად იქცა უკრაინის დედაქალაქის არა მარტო სტადიონები, არამედ პარკები, დნეპრის სანაპირო. აქტიურად იმუშავა დასვენების დღეს „სპარტაკის" სტადიონმა. მაგალითად, კიევის ერთ-ერთი საწარმოს მთავარი მექანიკოსი გ. მუზიჩენკო, რომელიც სტადიონის ხშირი სტუმარია, ამჯერად ოჯახით მოვიდა — ცოლით, ქალიშვილით, სიძით, შვილიშვილით.

მუზიჩენკო ამბობს, რომ მეხუთე საფეხურის ნორმატივების ჩაბარების შემდეგ მას განზრახული აქვს მიიღოს სამკერდე ნიშანი „ფიზიკური სრულყოფა". გასულ ორ დასვენების დღეს „სპარტაკის" სტადიონზე მუშაობდა მშდ კომპლექსის ნორმატივების მიმღები კომისია (ამ კომისიაში შედიან, კერძოდ, უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ვ. ლუნკოვი და ს. ბოროდჩაკი, ცნობილი ტანმოვარჯიშე ნ. მოზგოვაია), რომელმაც ოქმებში შეიტანა „პრომსვიაზის", „ტორგმაშის", № 1 ავტოსარემონტო ქარხნების, ოქტომბრის რაიონის ტროლეიბუსის დეპოსა და სკოლების 800-ზე მეტი წარმომადგენლის შედეგები.

**ვ. მიხნევი.**

კიევი.

# ჩვენი მოკლე კორესპონდენციები

## დიდი დღესასწაული

დიდი ქიმიის ქალაქში — კიროვაკანში ქუჩები ტრანსპარანტებით, ლოზუნგებით, აფიშებით, სპორტული დროშებით მოიფინა. ქალაქის მცხოვრებთ სტადიონებზე და ეზოს სპორტულ მოედნებზე, დასვენების ზონებში და პარკებში იწვევდნენ, სადაც ახალი საკავშირო კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებელთა მასობრივი შეჯიბრებები ტარდება. საერთო ფიზიკური მომზადების სექციებში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 3 ათასამდე ინსტრუქტორი, მეთოდისტი, მწვრთნელი. დასახული პროგრამის განხორციელებაში სწორედ ეს აქტივი ეხმარება ახალი კომპლექსის საქალაქო კომისიას, რომელსაც საბჭოთა კავშირის გმირი გ. ვარდუმიანი ხელმძღვანელობს. უკვე მრავალმა ათასმა კაცმა ჩააბარა ნორმატივები კომპლექსის ექვს სახეობაში. შაბათ-კვირას მზიანი დარი იყო და სამი ათასი კიროვაკანელი ჩაება მშდ კომპლექსის სამკერდე ნიშნებისთვის ბრძოლაში. თავიანთ სტადიონზე კარგი შედეგები მოიპოვეს ა. მიასნიკიანის სახელობის ქიმიური კომბინატის წარმომადგენლებმა ვ. ანდრიასიანმა, მ. მარტიროსიანმა, ფიზიკურ-ქიმიური ლაბორატორიის მოსამსახურემ ა. ჩახოიანმა და სხვებმა.

ქიმიკოსთა ქალაქს კარგი ტრადიციები აქვს მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის ორგანიზაციაში. სამხედრო-ტექნიკურ და ფიზიკურ მომზადებაში კომკავშირელთა და ახალგაზრდობის დათვალიერება-გამოცდაში, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, კიროვაკანმა II ადგილი დაიკავა ქვეყნის ქალაქებს შორის. გვჯერა, რომ ახალ გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ არა მარტო მუშები, მოსამსახურეები, მოსწავლეები, არამედ საქალაქო ორგანიზაციებიც.

ახალ კომპლექსთან დაკავშირებით ფართოდ გაიშალა სპორტული ბაზების მშენებლობა რბენისთვის, ხტომისთვის, ტყორცნისთვის. ქალაქის კომკავშირელთა მოწოდებას, რომ სპორტული ბაზების გარეშე არც ერთი კოლექტივი არ დარჩეს, ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, ყველა დაწესებულებაში და სასწავლებელში აუბეს მხარი.

**ა. ხაჩატრიანი.**

კიროვაკანი.

## ენერგეტიკოსთა სპარტაკიადა

გასული შაბათი ლამაზი დღე იყო ყირგიზეთის დედაქალაქის ფიზკულტურელებისთვის. იმ დღეს დამთავრდა ენერგეტიკოსთა სპარტაკიადა.

პროფკავშირულმა სპორტსაზოგადოება „ალგამ" სეზონში ეს უკვე მეხუთე სპარტაკიადა ჩაატარა. ამ საუწყებო შეჯიბრებამ დიდი როლი შეასრულა ყირგიზეთის წლევანდელ სპორტულ ცხოვრებაში. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ასპარეზობის სარბიელზე სულ ნახევარი მილიონი კაცი გამოვიდა. ასეთი მასობრიობა იმანაც განაპირობა, რომ სპარტაკიადა ზაფხულის დამდეგიდან უკვე „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს ეყრდნობოდა.

**ბ. კოროლიოვი.**

ფრუნზე.

## ტიან-შანი — ტურისტების მასპინძელი

ტიან-შანიდან დაბრუნდა ტურისტთა ჯგუფი, რომელმაც 18 დღეს იარა დათოვლილ მთებში. ჯგუფში შედიოდნენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. ლაშქრობის კულმინაცია იყო ყარაბატკაკის უღელტეხილი, სადაც ალპინისტური აღჭურვილობის გამოყენება გახდა საჭირო.

ამ მოგზაურობით დამთავრდა მხარის ტურისტული სეზონი. ზაფხულის მანძილზე აქ 70 ათასამდე კაცმა იმოგზაურა.

გაისად ყირგიზეთის ტურისტული მარგალიტი კიდევ უფრო მეტ სტუმარს მიიღებს: ფართოვდება ძველი და შენდება ახალი ბაზები.

ანანიევი.

## ნისპორენელი ჩემპიონები

დაბა ნისპორენის რაიონულ კულტურის სახლში ჩატარდა მოლდავეთის ჩემპიონატი ბატუტზე ხტომაში. გამარჯვება კვლავ ნისპორენის სპორტული სკოლის აღსაზრდელებს გ. მატასარის, ი. კარაეიას, ტ. ბაროვას, ვ. ომადეს დარჩათ.

მოლდავეთის არც ერთ კუთხეში არ არიან ისე გატაცებული ბატუტზე ხტომით, როგორც ნისპორენში. მოლდავეთის ტყეების ცენტრში მდებარე ეს დაბა რესპუბლიკისთვის ახალი სახეობის აღიარებულ დედაქალაქად იქცა. აქ ყოველწლიურად იყრიან თავს საასპარეზოდ უძლიერესი სპორტსმენები.

დაბა თავის სპორტულ დიდებას უნდა უმადლოდეს ენთუზიასტებს — ცოლ-ქმარ ელენა და ივანე ცურკანებს. ექვსი წლის წინ მათ ნისპორენში ბატუტზე ხტომის წრე ჩამოაყალიბეს, რომელიც მალე მთელ სპორტულ სექციად იქცა. ბევრი ნისპორენელი ბავშვი ეზიარა სპორტის ლამაზ სახეობას. მათგან ხუთი უკვე სპორტის ოსტატია, ამ სახეობის წარმომადგენელი ყველა ბოლოდროინდელი მოლდაველი ჩემპიონი ცურკანების გაზრდილია.

კიშინიოვი.

# ძია სტიოპა — მუშა და მწვრთნელი

ვარშავის ათი წლისთავის სახელობის სტადიონზე უჩვეულო მატჩი შედგა: პოლონეთის დედაქალაქის ამ უდიდეს სპორტულ ბაზაზე ერთმანეთს შეხვდნენ ვარშავისა და კაუნასის ეზოს გუნდების 14-15 წლის ფეხბურთელები. პოლონელი ჟურნალისტების შეკითხვაზე ლიტველთა რაზმის მწვრთნელმა სტიაპას მარტიშიუსმა თქვა: „მოკრძალებული თანამდებობა მიკავია. კაუნასის შალის საქსოვ ფაბრიკა „დრობეში" ოსტატის თანაშემწედ ვმუშაობ".

ძია სტიოპა, როგორც მარტიშიუსს ბიჭები ეძახიან, წარსულში რესპუბლიკის არაერთგზის ჩემპიონი იყო ფეხბურთსა და ჰოკეიში. შემდეგ თავი დაანება სარბიელს. ერთხელ, შინისკენ რომ მიდიოდა, დაინახა როგორ თამაშობდნენ მინდორში ბურთს ბიჭები. სპორტის ვეტერანი გატაცებით უყურებდა არასრულყოფილ, მაგრამ თავგამოდებულ თამაშს, შემდეგ კი ბიჭებს ზოგიერთი რამ ასწავლა.

ამ შეხვედრამ იგი კაუნასის მე-20 სახლმმართველობაში მიიყვანა, სადაც მეტად მოიწონეს მარტიშიუსის წინადადება ბავშვთა სპორტკლუბის ჩამოყალიბების შესახებ.

ახლა „ორბიტა", კლუბს ასე დაარქვეს, უკვე ათი წლისაა. ზაფხულობით კლუბში ათი ეზოს გუნდი ვარჯიშობს, ზამთარში კი ჰოკეისტთა რვა კოლექტივი.

ბავშვებისა და მათი მშობლების აქტიური მონაწილეობით სახლმმართველობამ ჩინებული ჰოკეის მოედანი მოაწყო — კარგად განათებული და რადიოფიცირებული. ფეხბურთში ბიჭები ფაბრიკა „დრობეს" მინდორზე ვარჯიშობენ. ამ ფაბრიკამ, სადაც ძია სტიოპა მუშაობს, კლუბის შეფობა ითავა.

მაგრამ ძია სტიოპა მარტო ვერ გაუძღვება ბიჭებს, მიკრორაიონში ხომ ყოველი მეორე ფეხბურთსა და ჰოკეის თამაშობს. საზოგადოებრივი ინსტრუქტორის „მარჯვენა ხელი" გახდა ეზოს ერთ-ერთი გუნდის წევრი ალგის კერშიავიჩიუსი, რომელიც ახლა ლიტვის ჭაბუკთა ნაკრებში თამაშობს და რეზინის ნაწარმის კომბინატის „ინკარესის" მუშაა. გაიზარდნენ ძია სტიოპას სხვა შეგირდებიც და ბავშვთა კლუბ „ორბიტის" საზოგადოებრივი ინსტრუქტორები გახდნენ.

მთელი წლის მანძილზე ისმის ხმაური სათამაშო მოედნებიდან. „ორბიტის" ფეხბურთელები კაუნასის პანემუნის რაიონის ჩემპიონები გახდნენ „ტყავის ბურთის" პრიზზე შეჯიბრებაში. ჰოკეისტებმა რაიონში II ადგილი დაიკავეს „ოქროს შაიბის" ტურნირში.

— მჯერა, მომავალი ოლიმპიელები იზრდებიან. თვითონ მე კი ბავშვებთან მეცადინეობით დავიბრუნე ჩვეული სპორტული ფორმა, ახალგაზრდობა, — თქვა მარტიშიუსმა, ძველმა მუშამ, რომელიც საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტმა დააჯილდოვა საპატიო ნიშნით „ფიზიკური კულტურის წარჩინებული".

**ს. ვაინტრაუბასი.**

კაუნასი.

ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

II ლიგა III ზონა

# ჩვენმა გუნდებმა ქულები დაკარგეს

17 ოქტომბერს გაიმართა მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები, რომლებიც ასე დამთავრდა: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „დილა“ (გორი) 2:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „დინამო“ (ბათუმი) 0:0, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 0:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 3:2, „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 0:0, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0, „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 2:0, „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) — „დინამო“ (სოხუმი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 34 | 21 | 10 | 3 | 64—28 | 52 |
| „ყუბანი“ (კრასნოდარი) | 34 | 19 | 10 | 5 | 58—22 | 48 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 35 | 17 | 10 | 8 | 51—29 | 44 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 34 | 14 | 14 | 6 | 50—36 | 42 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 34 | 17 | 8 | 9 | 43—34 | 42 |
| „ზვეზდა“ (ტირასპოლი) | 34 | 15 | 8 | 11 | 33—25 | 38 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 34 | 16 | 5 | 13 | 46—46 | 37 |
| „მაშინოსტროიტელი“ (პოდ.) | 34 | 14 | 8 | 12 | 34—30 | 36 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 35 | 12 | 12 | 11 | 35—37 | 36 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 34 | 12 | 10 | 12 | 38—32 | 34 |
| „დილა“ (გორი) | 35 | 11 | 11 | 13 | 33—40 | 33 |
| „კოლხეთი“ (ფოთი) | 34 | 12 | 8 | 14 | 35—41 | 32 |
| „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) | 33 | 10 | 8 | 15 | 38—40 | 28 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 34 | 10 | 7 | 17 | 38—49 | 27 |
| „ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი) | 34 | 8 | 11 | 15 | 31—45 | 27 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 34 | 7 | 13 | 14 | 34—50 | 27 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 35 | 8 | 9 | 18 | 30—46 | 25 |
| „სპარტაკი“ (ორიოლი) | 34 | 5 | 11 | 18 | 28—49 | 21 |
| „შრ. რეზერვები“ (კურსკი) | 35 | 8 | 5 | 22 | 31—71 | 21 |

# თბილისელ ავიატორთა ორმაგი გამარჯვება

ამას წინათ ამიერკავკასიის სამი მოძმე რესპუბლიკის სამოქალაქო ავიაციის სპორტსმენებმა ერევანში ფრენბურთსა და კალათბურთში შეჯიბრებები გამართეს. საქართველოდან სარბიელზე გამოვიდნენ თბილისის აეროპორტის მუშაკებით დაკომპლექტებული ვაჟთა გუნდები.

კალათბურთელთა ტურნირში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. მათ დიდი სხვაობით სძლიეს სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებს, რითაც I ადგილი დაისაკუთრეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარეს რ. ხიზანიშვილი და ს. კოვალოვი (ორივე — თბილისი).

უფრო მწვავე გამოდგა ფრენბურთელთა ტურნირი. პირველი მატჩი თბილისელებს ერევნის აეროპორტის გუნდთან ჰქონდათ. მეტოქეები ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. მეხუთე, გადამწყვეტ პარტიაში ა. პოპოვისა და ი. მაზიქსის მონდომებული თამაშის შედეგად თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3:2.

კიდევ უფრო დაძაბული გახლდათ ბაქოსა და თბილისის გუნდების ფინალური მატჩი. სამი საათის შემდეგ ანგარიში 2:2 იყო. მზის ჩასვლის გამო მატჩი შეწყდა და მეორე დღეს გაგრძელდა. აქ ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვეს ისევ მაზიქსმა და ა. სემიონოვმა. მატჩის მიწურულს მათ კარგად გამოუვიდათ ორმაგი ბლოკი და გადამწყვეტი დარტყმისთვის უნარიანად გაჰყავდათ პოპოვი. შედეგად — გამარჯვება, ისევ ანგარიშით 3:2.

ნოემბრის დამლევს საქართველოს ავიატორებს ასეთივე ტურნირი ექნებათ თბილისში. მოსალოდნელია, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკების გუნდებთან ერთად სარბიელზე გამოვიდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები.

თ. კალატოზიშვილი.



# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● ასკ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი) 0:0. მსაჯი თ. ფანიაშვილი (თბილისი).

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია არმიელი გ. გაგუა.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

სტუმრებმა (შაფათავა) მე-13 წუთზე გახსნეს ანგარიში, ხოლო გელდიაშვილმა ტაიმის დამთავრებამდე შეძლო საპასუხო ბურთის გატანა. შესვენების შემდეგ არმიელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა.

● „ისანი“ (თბილისი) — „კოლმეურნე“ (წულუკიძე) 0:0. მსაჯი ე. ჩიბჩიაური (თბილისი).

● „სულორი“ (ვანი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:2. მსაჯი ა. აბულაშვილი (თბილისი).

ამ საინტერესო მატჩში 48-ე წუთისთვის მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 2:0 (ჩახუნაშვილი, ლორთქიფანიძე). „მეშახტე“ მხოლოდ ამის შემდეგ დაეუფლა უპირატესობას და თოდიძისა და გიორგობიანის დარტყმების შემდეგ იხსნა ქულა.

გაფრთხილებული არიან ვანელი ზ. ოჩხიკიძე და ტყიბულელები ა. ყანჩაველი და ბ. ქარქაშაძე.

● „მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „ვარკეთილი“ (გარდაბანი) 1:0. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

გაფრთხილებულია ზესტაფონელი თ. წანჩხაშვილი.

● „გიგანტი“ (ლაითური) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 0:1. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

ლაითურელებმა პირველ ტაიმში ანგარიშის გახსნის რამდენიმე საუკეთესო მომენტი გაუშვეს ხელიდან. „ლოკომოტივმა“ შემდგომში გაათანაბრა თამაში, ხოლო 75-ე წუთზე გადამწყვეტი გოლიც გაიტანა (მანჯგალაძე).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 3:2. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).

თბილისელი გაგუას მიერ მატჩის დასაწყისში გატანილ ბურთს მოჰყვა ჯ. ოდიშარიას საპასუხო გოლი. შესვენების შემდეგ ლოკომოტიველებმა გააძლიერეს თამაში, რაც დამთავრდა დემეტრაშვილისა და მონასელიძის ორი გოლით. მატჩის ბოლოს იმავე ოდიშარიამ შეძლო სხვაობის შემცირება ანგარიშში.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 3:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა მოგება გაინაღდეს პირველივე ტაიმში კვარაცხელიასა და ნაჭყებიას (2) გოლებით. ერთადერთი საპასუხო ბურთი ზუგდიდელმა ალმასიამ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით გაიტანა.

● „ეგრისი“ (ცხაკაია) — „კახეთი“ (თელავი) 5:3. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

ვასაძის, ქარიბაიასა და რუხაიას ზუსტი დარტყმების შემდეგ „ეგრისი“ უკვე მე-20 წუთისთვის დაწინაურდა, ტაიმის დასასრულს კი გვარამიამ მეოთხედ აიღო თელაველთა კარი. ბრძოლის სურათი მინდორზე სრულიად შეიცვალა შესვენების შემდეგ, როცა სირაძემ და თ. მაისურაძემ (ორჯერ) მინიმუმამდე დაიყვანეს ანგარიშში სხვაობა. ამ კრიტიკულ სიტუაციაში ძაგანიამ მეხუთედ შეძლო სტუმრების კარის აღება.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 4:0. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

ბურთები გაიტანეს არაქელოვმა, დემეტრაშვილმა და გაგუამ (2).

● „კოლხეთი“ (ხობი) — „კახეთი“ (თელავი) 2:2. მსაჯი გ. პოლოსიანი (სოხუმი).

## II ჯგუფი

### I ზონა

„შევარდენი“ (თბილისი) — „კოლმეურნე“ (ტიბაანი) 2:2, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ავტომობილისტი“ (ცხინვალი) 2:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 2:0, „მევენახე“ (ბოლნისი) — „ვარძია“ (ასპინძა) 0:0, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „მესხეთი“ (ახალციხე) 2:3, „მევენახე“ (ვაზისუბანი) — „ვაზი“ (შრომა, გურჯაანის რაიონი) 1:2.

### II ზონა

„კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „განთიადი“ (აბაშა) 0:0, „საირმე“ (მაიაკოვსკი) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 0:1, „მალაროელი“ (ჭიათურა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 8:0, „სქური“ (წალენჯიხა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:0, „დიოსკურია“ (სოხუმი) — „დინამო“ (ქუთაისი) 3:1, „მზიური“ (გალი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 2:2.

ადიგენის „განახლებას“ გამარჯვება ჩაეთვალა ფოთის „კომეტასთან“.

### ზონალური შეჯიბრება

„ყინწვისი“ (ქარელი) — ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) 3:2, „ფეიქარი“ (ქუთაისი) — „ავტომობილისტი“ (ჩაქვი) 3:1, კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო“ (ოჩამჩირე) — „ლიახვი“ (გორის რაიონი) 3:3, „ავტომობილისტი“ (ჩაქვი) — კოჩარის კოლმეურნეობა „საქართველო“ (ოჩამჩირე) 6:1, ერედვის საბჭოთა მეურნეობა (ცხინვალი) — „ფეიქარი“ (ქუთაისი) 1:2, „რუბეროიდი“ (გარდაბანი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 3:1.

### გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 33 | 23 | 8 | 2 | 60—30 | 54 |
| „მეშახტე“ (ტყიბული) | 33 | 21 | 8 | 4 | 69—29 | 50 |
| „დინამო“ (ზუგდიდი) | 33 | 18 | 9 | 6 | 57—25 | 45 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 33 | 14 | 10 | 9 | 46—48 | 38 |
| „სულორი“ (ვანი) | 34 | 14 | 9 | 11 | 38—31 | 37 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 33 | 12 | 12 | 9 | 53—45 | 36 |
| „კახეთი“ (თელავი) | 32 | 15 | 6 | 11 | 49—48 | 36 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 32 | 13 | 9 | 10 | 59—42 | 35 |
| „კოლხეთი“ (ხობი) | 33 | 12 | 11 | 10 | 30—31 | 35 |
| „ისანი“ (თბილისი) | 34 | 11 | 11 | 12 | 31—33 | 33 |
| „სამცხე“ (აწყური) | 33 | 12 | 8 | 13 | 56—50 | 32 |
| „ქართლი“ (გორის რაიონი) | 33 | 12 | 5 | 16 | 53—51 | 29 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 33 | 11 | 7 | 15 | 36—51 | 29 |
| „ივერია“ (ხაშური) | 33 | 12 | 5 | 16 | 31—53 | 29 |
| ასკ (თბილისი) | 32 | 7 | 14 | 11 | 37—38 | 28 |
| „ეგრისი“ (ცხაკაია) | 33 | 11 | 6 | 16 | 43—58 | 28 |
| „გიგანტი“ (ლაითური) | 32 | 9 | 9 | 14 | 24—35 | 27 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 31 | 9 | 8 | 14 | 39—42 | 26 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 32 | 7 | 9 | 16 | 45—58 | 23 |
| „ვარკეთილი“ (გარდაბანი) | 33 | 5 | 8 | 20 | 23—48 | 18 |
| „კოლმეურნე“ (წულუკიძე) | 31 | 5 | 8 | 18 | 16—49 | 18 |

# პირველი მარცხის სიმწარე

●

თბილისში — მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა პირველობაზე

●

სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების მოჭადრაკეთა ჩემპიონატის V ტურში უნგრელმა ოსტატმა ა. ოჟვატმა პირველი მარცხის სიმწარე იწვნია საერთაშორისო ოსტატ ლ. ცინთან (გდრ) შეხვედრაში. რთულ პოზიციაში ოჟვატმა ხარისხი შესწირა თეთრების მნიშვნელოვანი ცენტრალური პაიკის ლიკვიდაციისა და ლაზიერების ფრთაზე პაიკთა განლაგების შესუსტების მიზნით. მაგრამ ლიდერის ვარაუდი უზუსტო გამოდგა. უკვე ცინის მომდევნო სვლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ შავებს დიდი მატერიალური დანაკლისი ელოდათ და ამიტომ უნგრელმა ოსტატმა საათი გააჩერა.

თბილისელი ოსტატების ე. უბილავასა და ა. იზვოზჩიკოვის შეხვედრის ბედი უმძაფრეს ცაიტნოტში წყდებოდა. უბილავას ზედმეტი პაიკი ჰქონდა, მაგრამ გადაწყვიტა უკიდურესად გაემწვავებინა ბრძოლა და ამ მიზნით ხარისხი შესწირა. ფსიქოლოგიურად ეს სწორი ნაბიჯი იყო, ვინაიდან იზვოზჩიკოვი დროის დიდ ნაკლებობას განიცდიდა და მეტოქის ტაქტიკურ იერიშს იოლად ველარ იგერიებდა. ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ იზვოზჩიკოვმა ლაზიერი დაკარგა და დანებდა.

რთულ პოზიციაში ყაიმზე შეთანხმდნენ ე. ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია) და ი. ადამსკი (პოლონეთი). დანარჩენი ოთხი პარტია გადაიდო.

ჯერჯერობით არც ერთი პარტია არ მოუგია მოსკოველ დიდოსტატს ვ. ლიბერზონს. V ტურში სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ჩემპიონ ვ. ჟურავლიოვთან (რიგა) პარტიაში მან შორს გასწია თავისი გამსვლელი პაიკი. მაგრამ რიგელმა არათუ ეს პაიკი მოიგერია, არამედ პატარა პოზიციურ უპირატესობასაც მიაღწია. ამ უპირატესობას ჟურავლიოვი ინარჩუნებს გადადებულ პოზიციაშიც, მაგრამ, ვფიქრობთ, შეხვედრა მაინც ყაიმით დამთავრდება.

დაძაბულად წარიმართა ე. პრანდშტეტერის (ჩეხოსლოვაკია) და მ. პოდგაეცის (სსრ კავშირი) პარტია. პოდგაეცმა პაიკი შესწირა, სამაგიეროდ კი ბევრი ვერაფერი მიიღო. თანდათანობით პოზიცია გამარტივდა. ახლა კუთა დაბოლოებაში პრანდშტეტერი ზედმეტ პაიკსა და გამარჯვების შანსს ინარჩუნებს. ზედმეტი პაიკი აქვს რიგელ ი. კლოვანსაც ა. ლოკასტოსთან (პოლონეთი). ლ. ვადასს (უნგრეთი) პაიკში ზედმეტი ხარისხი აქვს რ. პოსტლერთან (გდრ).

5 ტურის შემდეგ კვლავ წინაა ა. ოჟვატი — 3,5 ქულა. II ადგილზეა ლ. ცინი, რომელიც IV ტურიდან გადადებულ პარტიაში ყაიმზე შეუთანხმდა ა. ლოკასტოს. ცინს 3 ქულა აქვს.

ა. გუსლაევი,
სპორტის ოსტატი.

# დაუმარცხებლად

ამ დღეს გაგრძელდა აფხაზეთის დედაქალაქის კალათბურთელთა პირველობა სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდებს შორის. სოხუმის კალათბურთის სტადიონზე ერთმანეთს შეეჯიბრნენ „განთიადის“, „სპარტაკის“, „კოლმეურნის“, „ტრუდის“, ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის (2), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტისა და გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

ქალთა შორის ყველას აჯობა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის პირველმა ნაკრებმა. ფინალამდე ამ კოლექტივმა სძლია „დინამოს“ (53:19), ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მეორე გუნდს (60:25), ფინალში კი „სპარტაკის“ გამოუცხადებლობის გამო მოგება ჩაეთვალა.

II ადგილზეა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მეორე გუნდი, ხოლო III — „დინამო“.

ვაჟთა ტურნირმა სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის გუნდის კარგი მომზადება გვიჩვენა. ამ კოლექტივმა მთელი ჩემპიონატი წაუგებლად ჩაატარა: დაამარცხა „სპარტაკი“ (46:36), ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მეორე გუნდი (70:25), პედაგოგიური ინსტიტუტის ნაკრები (40:39), „განთიადი“ (46:32), ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის პირველი გუნდი (41:40), „კოლმეურნე“ (63:40) და „ტრუდი“ (64:35).

გამარჯვებულ გუნდს საზოგადოებრივ საწყისებზე წვრთნის კალათბურთის დიდი ენთუზიასტი, ინსტიტუტის პროდუქტთა ტექნოლოგიის კათედრის დოცენტი დ. დევდარიანი.

II ადგილი დაიკავა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის პირველმა გუნდმა, ხოლო III — „სპარტაკმა“.

გ. იაშვილი,
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.

* * *

სურათზე: შეჯიბრების მომენტი.

ავტორის ფოტო.

### ბალმანია აკრიტიკებს

ესპანეთის ეროვნული ნაკრების, მადრიდის „ატლეტიკოსა“ და „ბარსელონის“ ყოფილმა მწვრთნელმა დ. ბალმანიამ მკაცრად გააკრიტიკა გუნდების სათავეში უცხოელთა მოწვევის ამ ბოლო ხანს დამკვიდრებული ტრადიცია. მართლაც, ახლა ესპანეთის I ლიგის კლუბების უმრავლესობას უცხოელი სპეციალისტები უდგანან სათავეში.

ბალმანიამ გაიხსენა ის დიდი ხიანი, რომელიც ესპანეთის ფეხბურთს მიაყენეს უცხოელმა მოთამაშეებმა. ახლა ფეხბურთელთა იმპორტი აიკრძალა, მაგრამ მათს ნაცვლად უცხოელ მწვრთნელებს გაუღეს ფართოდ კარი, ეს კი არანაკლებ საშიში მოვლენაა ესპანური ფეხბურთისათვის.

### ვერ გაუძლო...

„ურუგვაის ნაკრების ხელმძღვანელობა ჯოჯოხეთურად ძნელია“, — ასე დაასკვნა ესთამენდიმ, რომელიც ბოლო ორი სეზონის მანძილზე (ჰოჰბერგის გადადგომის შემდეგ) სათავეში ედგა გუნდს. „ევროპაში მოგზაურობამ და მსოფლიოს მინი-ჩემპიონატში მონაწილეობამ მთელი ჩემი ენერგია შეიწირა“.

ესთამენდის აზრით, ურუგვაელი გულშემატკივრები მეტისმეტად პრეტენზიული არიან და ხშირად შეუძლებელს მოითხოვენ. ამიტომ მან გადადგომა არჩია და ისევ მონტევიდეოს „ნასიონალს“ ჩაუდგა სათავეში, რომელიც მისი ხელმძღვანელობით სამჯერ იყო ურუგვაის ჩემპიონი.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### სამი წლის ვალი

ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა ჟ. ჰაველანჟმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ზაფხულში ჩატარებული მსოფლიოს მცირე ჩემპიონატი ფეხბურთში ფინანსური თვალსაზრისით ერთობ წამგებიანი გამოდგა. სპეციალისტები ამას ხსნიან იმით, რომ ორგანიზატორებმა ვერ შეძლეს ჩამოეყვანათ რამდენიმე ქვეყნის ძლიერი ნაკრები გუნდები, რომლებსაც უეჭველად ეყოლებოდათ მაყურებელი.

ასეა თუ ისე, ბრაზილიის სპორტის კონფედერაცია დიდ ვალში აღმოჩნდა, რომლის გასტუმრებას სამ წელიწადს მაინც მოუნდება. „ეს ასე არ მოხდებოდა, — თქვა ჰაველანჟმა, — მინი-ჩემპიონატის მონაწილეებს უკეთ რომ ეთამაშათ“.

### ახალი მწვრთნელი

ბულგარეთის ნაკრების ახალ მწვრთნელად დანიშნულია მლადენოვი. იგი კარგა ხანს სწავლობდა ფეხბურთს უნგრეთში, სადაც დაამთავრა მწვრთნელთა სკოლა, ხოლო შემდეგ გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ საფეხბურთო მიმომხილველი იყო. 1971-72 წლების სეზონში იგი ხელმძღვანელობდა „ბეროეს“, რომელმაც III ადგილი დაიკავა ბულგარეთის ჩემპიონატში.

ნაკრების ყოფილი მწვრთნელი სპასოვი კვიპროსზე გაემგზავრა, სადაც კლუბ „ონომიას“ ჩაუდგა სათავეში.

### 166 ჭაბუკი გასინჯა!

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი მ. ზაგალო ბოლო ხანებში დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა ფეხბურთელებს. საკუთარი განცხადებით, წლეულს ზაგალომ 166 ახალგაზრდა გასინჯა, ესწრებოდა ჭაბუკთა საერთაშორისო ტურნირს კოლუმბიაში, ხოლო მისი ერთ-ერთი თანაშემწე ანტონინიო ბრაზილიის ნაკრებს ხელმძღვანელობდა კანში (საფრანგეთი), სადაც ჭაბუკთა დიდი ტურნირი გაიმართა.

ზაგალომ თქვა, რომ ძალიან მოეწონა 16 წლის ... მან ამოარჩია 16 ... ჭაბუკი, რომლებთანაც მეცადინეობას შეუდგა. მწვრთნელი ძალიან აქებს მეკარე ნილსენსა და ნახევარმცველ ფალკაოს, ხოლო რაც შეეხება ოლიმპიური ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელს ვაშინგტონს, იგი ზაგალომ ბრაზილიის 20 უძლიერესი ფეხბურთელის რიცხვში შეიყვანა და ნაკრებშიც მიიწვია.

### ფაკეტის ნაცვლად მარკეტი

იტალიის ნაკრების მწვრთნელმა ფ. ვალკარეჯიმ ბოლოსდაბოლოს უსმინა მრავალრიცხოვან სპეციალისტთა რჩევას და შეუდგა თავისი გუნდის გაახალგაზრდავებას. ნაკრების ბოლო შეკრებაზე უკვე აღარ იყვნენ ვეტერანები ფაკეტი, ჩერა, ბერტინი, დომენგინი. შეიცვალა ბონინსენიაც.

გაახალგაზრდავებულმა გუნდმა დამაჯერებლად მოუგო ტურინში იუგოსლაველებს — 3:1. გაზეთებში კვლავ გამოჩნდა ფაკეტის გვარი, მაგრამ ეს აშკარა შეცდომა იყო. იტალიელებმა განუმარტეს უცხოელ კომენტატორებს, რომლებიც მატჩს რადიოთი უსმენდნენ, რომ შეცდომით მოესმათ ფაკეტის გვარი მაშინ, როცა სინამდვილეში თამაშობდა მარკეტი. ამ გასწორების შემდეგ ფაკეტისა და მარკეტის უკვე აღარ ურევენ ერთმანეთში.

### მხოლოდ კოსმონავტებისა შურს

ბელგიაში ყველაზე პოპულარულმა ფეხბურთელმა, ნაკრებისა და „ანდერლეხტის“ კაპიტანმა პ. ვან ჰიმსტმა თქვა, რომ ძალიან კმაყოფილია თავისი სპორტული კარიერით. „ერთადერთი სპეციალობის ხალხი, რომლებისაც აშკარად მშურს, კოსმონავტები არიან“, — განაცხადა მან.



## ობიექტივში მსოფლიო

ამ სურათზე ბანგკოკში გამართული ერთი უცნაური საფეხბურთო მატჩის მომენტია აღბეჭდილი. როგორც ხედავთ, ერთმანეთს ეთამაშებიან ვაჟები და... ქალები. ფეხბურთელი ქალები მეტოქის კარისკენ გაიჭრნენ, მათი ერთ-ერთი თანაგუნდელი კი მოწინააღმდეგე ვაჟს ხელებით აკავებს.

ეს შეხვედრა ბევრი რამით იყო უცნაური. თერთმეტკაციან გუნდს 22 ქალი — კინოსა და ტელევიზიის ვარსკვლავები ეთამაშნენ. ვაჟთა გუნდი, თავის მხრივ, კომიკოსი მსახიობებისგან შედგებოდა. მატჩის მომწყობებმა ქალებს ჭიკაობის, მეტოქის მოქაჩვის, დაჭერის და, ასე გასინჯეთ, დაკაწვრის უფლებაც კი მისცეს. ეს მაშინ, როცა ვაჟები ყველა წესის დაცვით თამაშობდნენ.

მატჩი, რომელსაც 30 ათასამდე მაყურებელი დაესწრო, ქალების გამარჯვებით დასრულდა — 8:1.

ასოშიეიტედ პრესის ფოტო.

## „შვიტურისი“ — უმაღლესი ლიგის დებიუტანტი

საბჭოთა მეურნეობა „კრეტინგის“ გუნდმა პირველად მოიპოვა ლიტვის ჩემპიონობა მოტობურთში. მან გადამწყვეტ შეხვედრაში ანგარიშით 1:0 დაამარცხა სკუოდასის რაიონის კოლმეურნეობა „ბარტუვის“ მოტობურთელები, რომლებიც ქვეყნის პირველობაზე უმაღლეს ლიგაში თამაშობენ.

გაისად ლიტვას „ა“ კლასში უკვე ორი კოლექტივი ეყოლება და ორივე სასოფლო: „ბარტუვის“ სპორტსმენებთან ერთად სარბიელზე გამოვლენ „შვიტურისის“ ახალბედები, რომელთაც არა მარტო რესპუბლიკის ჩემპიონობა მოიპოვეს, არამედ „ბ“ კლასში საკავშირო პირველობაც მოიგეს. ამ გუნდის მოთამაშეები, ისევე როგორც რესპუბლიკის პირველობის დანარჩენ მონაწილეთა უმეტესობა, სოფლის მექანიზატორები არიან. ეს ახალი თამაში მათ ძალიან მოეწონათ. მოტობურთის მოყვარულებმა თავისი ხელით ააგეს სტადიონი სკუოდასში.

(საკუთარი კორ.).

კრეტინგა, ლიტვის სსრ.

• •

ზაბუეს „გურნიკის“ ცენტრალური თავდამსხმელი ვ. ლიუბანსკი პოლონეთის ფეხბურთის მოყვარულთა ნამდვილი კერპია. საყოველთაო აღიარება ამ შესანიშნავმა ოსტატმა მრავალი წლის განმავლობაში დიდებული თამაშით მოიხვეჭა. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ ლიუბანსკი უაღრესად კორექტული ფეხბურთელია. ჩვენმა ტელემაყურებლებმა ამ ბოლო დროს მისი თამაში იხილეს ამხანაგურ მატჩში: ევროპა — სამხრეთ ამერიკა.

• • •

სურათზე: ვ. ლიუბანსკი (მანქანის საჭეს უზის).

ჟურნალ „სპორტოვეცის“ (ვარშავა) ფოტო.



19$^{45}$

### 4:0

◆ ლენინგრადი, 18 ოქტომბერი. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მეორე შესარჩევ მატჩში საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა აქ ანგარიშით 4:0 (3:0) დაამარცხა ფინელ თანატოლთა გუნდი.

ფეხბურთი

## ფრენბურთელთა სარბიელზე

ამ დღეებში თბილისში დამთავრდა პირველი ჯგუფის ფრენბურთელთა გუნდების საქალაქო ჩემპიონატი.

ვაჟთა ტურნირის გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ფიზკულტურისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდები. თამაში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, უაღრესად დაძაბული გამოდგა (განსაკუთრებით პირველი ორი პარტია) და ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:1 (13:15, 16:14, 15:3, 15:8). III საპრიზო ადგილი ამავე ინსტიტუტის მეორე გუნდს ხვდა.

ქალთა მთელი შეჯიბრება დამაჯერებლად, წაუგებლად ჩაატარეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფრენბურთელებმა, რომელთაც ჩემპიონობა მოიპოვეს. II ადგილზე არიან უნივერსიტეტის, III — თბილისის განათლების განყოფილების წარმომადგენლები.

ლ. კნოლეველი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის
სპორტულ

ტანვარჯიში. თბილისის განათლების განყოფილების სპორტდარბაზი (პეტრიაშვილის ქ. № 7). საერთაშორისო ტურნირი: საქართველო — უნგრეთი. დასაწყისი: 20 ოქტომბერს — 18 ს., 22 ოქტომბერს — 15 ს.

20 ოქტომბერს

თბილისში, ძალოსნობის დარბაზში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 49-ა) გაიმართება საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის სხდომა.

დასაწყისი 16 ს.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-68, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-66, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-67, წერილების განყოფილება — 93-97-64, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.